საია — 1994 წლიდან ადამიანის უფლებების დასაცავად

1 აპრილი - 31 ივლისი, 2026

მადლობას ვუხდით თითოეულ შემომწირველს ნდობისა და მხარდაჭერისთვის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განაგრძობს ადამიანის უფლებების დაცვას, სტრატეგიულ სამართალწარმოებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისთვის ბრძოლას.

საანგარიშო ოთხი თვის განმავლობაში, ორგანიზაციამ შემოწირულობებისა და საწევრო შენატანების სახით სულ 3’950 ლარი მიიღო.

თითოეული მხარდაჭერა მნიშვნელოვანია და რეალურ ცვლილებებს ქმნის.

ამ ეტაპზე საქართველოში მოქმედი შემზღუდველი რეგულაციებიდან გამომდინარე ორგანიზაციას აღარ აქვს არც ერთი პროექტი.

რა შევძელით ერთად საანგარიშო ოთხ თვეში?

საანგარიშო პერიოდში საიამ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი უფლებრივი საკითხების, სოციალური და სამართლებრივი პროცესების შესახებ მოამზადა განცხადებები, შეფასებები, გამოხმაურებები და კვლევები.

ამ საქმიანობით ორგანიზაცია აგრძელებდა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის დოკუმენტირებას, საზოგადოებისა და საერთაშორისო მექანიზმების ინფორმირებას და მართლმსაჯულების პროცესების მონიტორინგს.

51 განცხადება და საჯარო გამოხმაურება

ერთი კვლევა და ერთი სამართლებრივი შეფასება



სტრასბურგის სასამართლოში საიას წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოების მიმოხილვა



იმ პატიმართა სიის მომზადება, რომელთა საქმეებშიც პოლიტიკური მოტივაციის მაღალი რისკი იკვეთება

18 ყოველკვირეული სასამართლო მონიტორინგის კალენდარი

იურიდიული დახმარება და კონსულტაცია საანგარიშო პერიოდში

1 აპრილი - 31 ივლისი, 2026

კრიზისისა და შეზღუდული რესურსების მიუხედავად, უფასო იურიდიული დახმარება საიას საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება. ორგანიზაცია განაგრძობს სტრატეგიული საქმეების წარმოებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების ყოველდღიური დარღვევების პირობებში.

სტრასბურგის სასამართლოში გაიგზავნა სამი ახალი საქმე: მზია ამაღლობელის სისხლის სამართლის საქმე, სისტემური წამების საქმე და ტროტუარზე დგომის გამო პირის დაპატიმრების საქმე.

სტრასბურგის სასამართლოში გაიგზავნა საპასუხო პოზიცია **2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეზე.**

საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილია ორი ახალი საქმე: ემიგრანტების საარჩევნო ხმის უფლებასთან დაკავშირებული საქმე და ბავშვის უფლებებზე სამოქალაქო საქმეში გაჭიანურებულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საქმე.

საკონსტიტუციო სასამართლოს წარედგინა **სასამართლოს მეგობრის მოსაზრება** ოთხი პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვის მოთხოვნით შეტანილ სარჩელზე.

საია აწარმოებს ექვს ახალ / მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს, მათ შორის საქმეს, რომელიც დემონსტრანტების წინააღმდეგ **წყლის ჭავლში ქიმიური ნივთიერებების შერევით ექსპერიმენტული იარაღის** შესაძლო გამოყენებას შეეხება.

ორგანიზაციამ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე **50-ზე მეტი კონსულტაცია გასწია.**

საია განაგრძობდა იმ მიმდინარე საქმეებზე მუშაობას, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ დასრულებულა.

საიას საქმიანობა საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ადვოკატირების მიმართულებით

1 აპრილი - 31 ივლისი, 2026

საერთაშორისო ადვოკატირება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში გავგზავნეთ შეფასებები:

- **ვითხოვთ** 2008 წლის ომის საქმეებზე რუსეთის ფედერაციისთვის დაკისრებული კომპენსაციებისთვის კოლექტიური აღსრულების მექანიზმის შექმნას.

- **გავგზავნეთ** ასევე 3 ანგარიში საქართველოსთან მიმართებით გაძლიერებულ ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვადასხვა ჯგუფის საქმეების აღსრულების თაობაზე.

საიას წარმატებები

- რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საიამ მოიგო **გიორგი ანწუხელიძისა და სხვა ქართველი სამხედრო პირების** საქმეები სტრასბურგის სასამართლოში.

- საიამ სტრასბურგის სასამართლოში მოიგო საქმე, რომელიც **კარვის გაშლის გამო** პირის დაკავებას შეეხებოდა.

- სტრასბურგის სასამართლოში დაიწყო ე.წ. FARA-ს („უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“) საქმეზე განხილვა; საქმეში მესამე მხარედ ჩაერთო **ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი.**

- სტრასბურგის სასამართლომ **დაარეგისტრირა** მზია ამაღლობელის ორი ახალი საჩივარი.

- სტრასბურგის სასამართლოს დიდ პალატაში მოგებული „გავრილოვის ღამის“ საქმე REDRESS-ის გლობალურ **სახელმძღვანელოში** აისახა.

- ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (OHCHR) ანგარიშში არაერთხელ არის მითითებული **საიას კომუნიკაციებსა და პუბლიკაციებზე,** რაც ორგანიზაციის მიერ წარმოებული ადამიანის უფლებების ობიექტური და სანდო დოკუმენტირების მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

- სასამართლომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან 2025 წლის 1 იანვარს გათავისუფლებული თანამშრომლის სასარგებლოდ **დაადგინა** შრომითი უფლებების დარღვევა და დამსაქმებელს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დააკისრა.

საანგარიშო პერიოდის შედეგები (1 აპრილი – 31 ივლისი, 2026)

მედიაგაშუქება

43 ეთერი და სიახლის გაშუქება მედიაში

8 აქტიური მედია წყარო

დომინანტური თემები

- მზია ამაღლობელის საქმე
- საპოლიციო ძალადობა
- რუსეთის წინააღმდეგ მოგებული ანწუხელიძისა და მალაჩინის საქმე
- დაჩქარებული კანონშემოქმედება
- ოპოზიციური პოლიტიკოსების დევნა

ორგანიზაციის სოციალური მედიის არხები და WEB

500K + ნახვა და ინტერაქცია

73 facebook პოსტი
52 Instagram პოსტი

20K + ვებგვერდის აქტიური მომხმარებელი

თუ გსურთ, წვლილი შეიტანოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობაში და ხელი შეუწყოთ ადამიანის უფლებების დაცვას, შემოწირულობების განხორციელების გზაა:

<u>საქართველოს მოქალაქის</u> მიერ საბანკო გადარიცხვა.

თქვენთვის სასურველი თანხის ოდენობა შეგიძლიათ გადმორიცხოთ შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღების ბანკი: **ს.ს. „თიბისი ბანკი“**

მიმღების ანგარიში: **GE25TB7324636080100001**

მიმღების სახელი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მადლობა მხარდაჭერისთვის!

თითოეული მხარდაჭერა მნიშვნელოვანია და რეალურ ცვლილებებს ქმნის.